1. დღეს, როგორც ყოველ კვირას , ტყეში მივდივარ. ტყე ისეთი ადგილია, სადაც სიმშვიდეა, სიწყნარე. მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და ფოთლების შრიალი არღვევს ამ ჰარმონიას. წარმოიდგინეთ ცისფერი ლამაზი ცა, თეთრი, ქათქათა ღრუბლებითა და ძალიან მაღალი ხეებით, კარავში კი ცხელი შოკოლადი, საყვარელი წიგნის კითხვა და ლამაზი პეიზაჟების ყურება ჩემთვის დასვენების ყველაზე კარგი საშუალებაა!

გავიდა დრო, მე გავიზარდე და გამოჩნდა სურვილი ისევ იმ ტყეში დავბრუნებულიყავი, თავიდან შემეგრძნო ბუნების წიაღში მიღებული ნეტარება. ჩემს წინ ტყე აღარ იყო. თვალუწვდენელი ხეების ნაცვლად მაღალი შენობები დამხვდა, მწვანე საფარი ნაცრისფერმა გზამ შეცვალა, სიმშვიდე- ხმაურმა ჩაანაცვლა და სუფთა ჰაერი ნახშირორჟანგით გაჯერებული იყო. არსად ჩანდა მესაიდუმლე მუხა , რომელსაც ხშირად ვუზიარებდი ჩემს დარდსა და სიხარულს. არ გეგონოთ , რომ არ ესმოდა ჩემი. ფოთლების შრიალით მესაუბრებოდა, უბრალოდ კარგი მეგობარი იყო და ჩემს საიდუმლოს არავის უმხელდა.

დღეს ამ შენობებს ჩემს მუხასთან საერთო არაფერი აქვთ , მათთან საუბრის სურვილი არასოდეს გამოჩნდება, რადგან ვიცი,რომ უამრავი ხე შეეწირა ამ შენობების გაჩენას.ვწუხვარ მეგობარო,რომ აღარ მაქვს შენთან ურთიერთობის ბედნიერება. ჩემს მეხსიერებაში არსებული ზღაპრული სამყარო ერთფეროვანი გამხდარა. ტყე,რომელიც წინაპრების დანატოვარია , მინდა ,რომ მომავალი თაობის საკუთრებაში იყოს. ყველას ვალია , რომ ტყე შევუნახოთ შვილებს! ნინიაშვილი მარიამი, მე-7 (1) კლასი .